

ტექსტის ინტერპრეტაცია ბრძოლის მანიფესტში

Interpretation of the Text in the Manifesto of Struggle

ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლები საქართველოში ღრმა კრიზისის და პოლიტიკური დაპირისპირების გამწვავების პერიოდის სახელით შევა ისტორიაში. თბილისის თეატრებს შორის გამორჩეულად საინტერესო და მაღალპროფესიული სახელმწიფო თეატრი, ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრი ურთულეს მდგომარეობაშია: თეატრის ხელმძღვანელი განთავისუფლებულია, წამყვანი მსახიობი კი დაპატიმრებული. არა და ამ თეატრს მაღალმხატვრული სპექტაკლები ქონდა და რეალურად არც ვიცით დაბრუნდება თუ არა ეს წარმოდგენები რეპერტუარში და ექნება თუ არა მყურებელს მათი კვლავ ხილვის საშუალება. მით უფრო მნიშვნელოვანია ორი სპექტაკლი, რომელთა მაგალითზეც გაანვიხილავ ინტერპრეტაციის პრობლემას. ახალი თეატრის რეპერტუარის ეს წარმოდგენები უპირობოდ არის თანამედროვე ქართული სასცენო ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ნიმუშები.

1978 წელს დაწერილი დიმიტრის დიმიტრიადისი რომანი „ვკვდები როგორც ქვეყანა“ ერთდოულად არის როგორც სულიერი ასევე სახელმწიფოებრივი კრიზისის ამსახველი უბრწყინვალესი ნაწარმოები. დიმიტრის დიმიტრიადისი სამართლიანად ითვლება თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მწერლად. რომანი არაერთ ქვეყანაში დაიდგა და ყველგან, სადაც ის იყო წარმოდგენილი, აუდიტორია ამტკიცებდა, რომ ეს მათი ისტორიაა- ბერძნებს- ბერძნული, პოლონელებს პოლონური, უკვე ქართველებს კი ნამდვილი ქართული ამბავი გონიათ...როგორ გაედინებიათ თავის გადარჩენის მიზნით ქვეყნის მცხოვრებლები საზღვარგარეთ, როგორ იცლება ქვეყანა, რა შედეგები მოყვება ამგვარ პოლიტიკას? წარმოდგენაში ეს საკითხებია დასმული და კვლევის მიზანიც რომანში წამოჭრილი პრობლემის

ქართულ სინამდვილეში ადაპტირების და რეჟისორ მიხეილ ჩარკვიანის მიერ მაღალმატვრულ წარმოდგენად ქვეყნის პროცესის ანალიზია.

მისი თხზულებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი. 2022 წელს მწერალი საქართველოში იმყოფებოდა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის, „საჩუქრის“ მოწვევით ბერძნული ფოკუსის ფარგლებში. დიმიტრის დიმიტრიადისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც უმასპინძლა, სადაც მან შემდეგი სიტყვები თქვა: „კვდები როგორც ქვეყანა“ 1978 წელს დაიწერა და დღემდე აქტუალურ ტექსტად ითვლება. ვფიქრობ, რომ არსებული სინამდვილე განაპირობებს ტექსტის აქტუალობას. რეალობა ტექსტის განხორციელებას, გაცოცხლებას განაპირობებს. ვფიქრობ, რომ ტექსტი წინ უსწრებს სინამდვილეს, ჯერ ტექსტია და მერე დგება ის რეალობა, რაზედაც ნაწარმოები საუბრობს. მგონია, რომ სამწუხაროდ, კიდევ დიდხანს იქნება ეს ნაწარმოები აქტუალური“. დიახ, სამწუხაროდ, რადგანაც სამყაროში ჯერ კიდევ ბევრია დესტუქციული ტენდენციები, ჯერ კიდევ საკმაოდაა ოკუპირებული ტერიტორიები, როგორც ჩვენთან და საერთოდაც, აპოკალიფსის მოახლოებით არა მხოლოდ გვაშინებენ, არგუმენტირებულადაც გვაჯერებენ. სადაც კი დაიდგა ეს მცირეტანიანი რომანი და სადაც კი ჰპოვა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სცენიური სიცოცხლე, ყველა ქვეყნის ხელოვანები ერთნაირი ტკივილით ახორციელებენ ამ მარადიულად აქტუალურ ტექსტს. ყველა ქვეყნის აუდიტორია კი ამტკიცებს, რომ ეს რომანი სწორედ მათ ქვეყანაზეა დაწერილი. ბერძნებს- ბერძნული, პოლონელებს პოლონური, უკვე ქართველებს კი ნამდვილი ქართული ამბავი გონიათ...როგორ გაედინებიან თავის გადარჩენის მიზნით ქვეყნის მცხოვრებლები საზღვარგარეთ- ეს დიმიტრიადისის რომანის ერთ-ერთი ქმედითი კომპონენტია. რადგანაც დიმიტრიადისის მშობლიური ბერძნული თეატრი ვახსენე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ბერძნული ფოკუსის“ ფარგლებში ნაჩვენები ბერძნული თეატრის ერთ-ერთი გამოჩენილი რეჟისორის, მიხეილ მარმარინოსის შეხვედრა ახალგაზრდებთან. მარმარინოსმა ვრცელი ნაწყვეტები აჩვენა მის მიერ დადგმული დიმიტრი დიმიტრიადისის ნაწარმოებისა „კვდები როგორც ქვეყანა“. შარშან საბერძნეთში ვიყავი ფესტივალზე და იქ დიდი გულისტკივილით ამბობდნენ, რომ დიდია ბერძნების მიგრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში... დიმიტრიადისის რომანის პრობლემა მის სამშობლოში კვლავაც აქტუალურია. მარმარინოსის დადგმით ფილოსოფიური ტექსტი უადრესად ემოციური არტისტებით და რაც მთავარია მაყურებლებით იყო წარმოსახული, რომლებიც სპექტაკლის მონაწილენი გახდნენ. მაყურებელი სპექტაკლის მოქმედებას, რომელიც სხვადასხვა სივრცეებში მიმდინარეობდა, მუდმივად თან დაყვებოდა და ფაქტობრივად ერთი მხრივ ქოროს ფუნქციას ითავსებდა და მეორე მხრივ საზღვრებს მიმწყდარი მიგრაციის

მსურველების როლში გვევლინებოდა. ვიდეოჩანაწერმაც კი გვანახა მიხეილ მარმარინოსის ნააზრევის სიღრმე და მასშტაბი.

დიმიტრიადისის რომანის თათია მთვარელიძისეული არაჩვეულებრივი თარგმანის კითხვა 2022 წლის „საჩუქარზე“ ქეთი დოლიძის დადგმით განხორციელდა.

ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრის სპექტაკლი კი სრული ანშლაგით იდგმებოდა და საქართველოში რობერტ სტურუას მიერ დამკვიდრებული და დამოუკიდებელ საქართველოში დროებით მივიწყებული პოლიტიკური თეატრის ტრადიციის გამგრძელებლადაც გვევლინება. უნდა ითქვას, რომ ჩვენს სასცენო რეპერტუარში პოლიტიკური სპექტაკლების ხელმეორედ დამკვიდრება პოზიცია-ოპოზიციის ჭიდილის ფონზე მიმდინარეობს, სადაც წარმოდგენათა მონაწილენი ქუჩაში მიმდინარე პროცესების უშუალო მონაწილენიც კი არიან. ცხადია ამგვარ ვითარებაში სცენიდან ნათქვამი სიტყვა განსაკუთრებით მართალი და ემოციურია. ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრის შემთხვევაში კი ამ დადგმაში მონაწილეობა უცილობლად მოიცავს რისკის და თავგანწირვის ელემენტებსაც კი: სპექტაკლის მოქმედება დამრეც ზედაპირზე მიმდინარეობს. ეს ზედაპირი ერთდროულად სახურავსაც გვაგონებს, დამბასაც და თვით პირამიდის კედელსაც. სპექტაკლის რეჟისორი და სცენოგრაფი მიხეილ ჩარკვიანი ამგვარად წარმოგვიდგენს ქვეყანის მოდელს, რომელშიც ვცხოვრობთ და სადაც მოძრაობა სულაც არ არის უსაფრთხო. ზევით მფორთხავი ორი მამაკაცი თოკებით მიმაგრებული პატარა ჩემოდნებით და ქვემოთ მოსრიალე, მერხებითა და ურიკით აღჭურვილი პერსონაჟები კარგ ფიზიკური მომზადებასთან ერთად შეიძლება ითქვას, რომ თავგანწირვითაც გამოირჩევიან. ამ დამრეც ზედაპირზე არც თუ უსაფრთხო მოძრაობის პარალელურად წარმოთქმული სიტყვები განსაკუთრებით მძაფრი და ემოციურია. და ტექსტი კი, ნამდვილად ტრაგიკული, რადგანაც ოკუპირებული ქვეყანა, სადაც ძალადობა არსებობის ფორმაა, ხოლო მოძრაობა კი ელემენტარული თვითგადარჩენის ინსტიქტი, რადგანაც ყველა გაქცევას ცდილობს, გულგრილს ვერავის დატოვებს თავად მოძალადის გარდა. უნდა ითქვას, რომ დიმიტრიადისის მცირე ფორმის რომანი, რომელიც იმთავითვე არ არის გამიზნული სასცენო ხელოვნებისთვის და რომელიც მრავალი ქვეყნის მრავალ თეატრში დაიდგა, განხორციელებისას უთუოდ სხვადასხვაგვარად ტრანსფორმირდება. მარინა ჯოხაძე, კახა კინწურაშვილი, ეკატერინე დემეტრაძე, ბაია კერესელიძე, ქეთი ჯავახიშვილი, მაშო მაცაშვილი, გივიკო ბარათაშვილი, ანდრო ჭიჭინაძე, თორნიკე ლაზაშვილი, ლუკა ჯაფარიძე -ეს სპექტაკლის მონაწილე მსახიობების სიაა. მსახიობები არ გვევლინებიან მხოლოდ დიმიტრიადისის ტექსტის დეკლამატორებად. მძაფრ

ემოციებთან ერთად მათი შესრულება უცილობლად მოიცავს პოლიტიკური აქტივობის ფორმასაც. ეს გარემოება განაკუთრებით ეკა დემეტრადის და გამორჩეულად ნიჭიერი კახა კინწურაშვილის შესრულებით არის თვალსაჩინო.

„სპექტაკლი ძირითადად ხმაურებითაა აწყობილი, რაც შესაძლოა ითქვას, რომ ერთგვარ დინამიკას ქმნის. აქვე არ დავივიწყოთ ერეკლე გეწადის არაჩვეულებრივი ელექტრონული მუსიკა, რომელიც თავისებურ ხიბლს სძენს დრამას.“ (ა. ბენიძე.2023)

წარმოდგენის ბოლოს დამრეც ზედაპირზე ვიდეოინსტალაციით გელათის ღვთისმშობლის მოზაიკა აღიბეჭდება- ჩვენი ტკივილი... „ვკვდები, როგორც ქვეყანა“- ახალი თეატრის განხორციელებული შესანიშნავი რომანი, რომელიც სამწუხაროდ აქტუალობას არ კარგავს. ტკივილიანი და ემოციებით დატვირთული წარმოდგენა, რომელიც თაობის სათქმელს გამოხატავს, და არა მხოლოდ...

ვერავინ დამაჯერებს, რომ ბავშვობაში, როდესაც შარლ პეროს “ლურჯწვერას“ გვიკითხავდნენ, არ შეგვშინებია და ყველაფრის მიუხედავად იმ იდუმალ ოთახში შეხედვა არ მოგვდომებია. ლურჯი წვერის გაზრდაც რაღაც მისტიური საშინელების არქექიპად მაქვს ჩარჩენილი მეხსიერებაში, მოსალოდნელი უბედურების მომასწავებლად.

ანდრი ჟოლდაკის შემოქმედებას ქართველი მაყურებელი მესამედ ეცნობა. პირველად 2014 წლის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის, „საჩუქრის“ პროგრამაში იყო ჩართული. პეტერბურგის კერძო თეატრმა, „ანდრეი მირონოვის ანტრეპრიზა“ ჟოლდაკის საოცარი სპექტაკლი, „მადამ ბოვარი“ წარმოგვიდგინა. უნდა ითქვას, რომ ყველაზე ეპატაჟურ რეჟისორთან, როგორც მას სათეატრო წრეებში უწოდებენ, ანდრი ჟოლდაკთან პირველი შეხვედრა მოულოდნელობით სავსე და უაღრესად ემოციური იყო. შემდეგ სპექტაკლებში ჟოლდაკისგან აღარავინ აღარფერს მოელოდა სტანდარტულს და ჩვეულებრივს. ყოველი ახალი წარმოდგენა ახალ სტერეოტიპებთან ბრძოლის მანიფესტია. მაგრამ „მადამ ბოვარი“ მაინც სხვა იყო, ჟოლდაკის ყველაზე შთამბეჭდავი და ლამაზი წარმოდგენა.

ქართულ თეატრში სპექტაკლის დასადგმელად ანდრი ჟოლდაკი პირველად ქეთი დოლიძემ მოიწვია. „ მეფე ლირი. ანდრი ჟოლდაკის წარმოსახვა“ 2019 წელს ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის, „საჩუქრის“ პროგრამაში იყო ჩართული. ეს წარმოდგენაც ჟოლდაკის სტერეოტიპული ხედვის წინააღმდეგ მიმართული აქცია იყო, შექსპირის თემის ყველაზე უცნაური ხედვა.

სპექტაკლის ლურჯწვერას კი თითქოს ცოტა აქვს საერთო ზღაპრულ ურჩხულთან. ამ პერსონაჟის ადეკტად წარმოდგენაში შაკო მირიანაშვილის პერსონაჟი მოიაზრება. „ მაყურებელი მზად უნდა იყოს, რომ აქ ნეიტრალური არაფერია, არამედ რადიკალური პოლუსები ქმნიან ქაოსს, ამიტომაცაა, რომ ალოგიკური ლოგიკურად, ხოლო არარეალური რეალურად გვეჩვენება.“ (ზ.ნემსაძე,2024)

ანდრი ჟოლდაკის ფანტასმაგორიას საფუძვლად დაედო საფუძვლად დაედო ნობელის პრემიის ლაურიატი ქალის ლუიზა გლუკის პოეზია და ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“. სწორედ ლორკას პიესის ძირითადი თემა-სასიყვარულო სამკუთხედი არის რეჟისორის ფანტასმაგორიის ძირითადი სიუჟეტური ხაზი წარმოდგენის პირველ ნაწილში.

ანდრი ჟოლდაკის სპექტაკლი მოგვითხრობს სიცოცხლის ფიზიკურად გადარჩენისთვის ბრძოლაზე, გაუსაძლის მოცემულობასა და ყოფაზე, ურთიერთობებზე ქალებსა და კაცებს შორის, შეყვარებულებს, მშობლებსა და შვილებს, მეზობლებსა და მეგობრებს შორის. რეჟისორი მოგვითხრობს ამბავს სასიყვარულო ურთიერთობებზე, სადაც სიყვარული აღარ არსებობს. (ლ.ჩხარტიშვილი. 2024)

როგორ ტრანსფორმაციას განიცდის ლურჯწვერა და როგორ ვითარდება მისი ურთიერთობები „სისხლიანი ქორწილის“ პერსონაჟებთან? ყველაზე უსუსური და საცოდავი, რომელიც ქალს არასოდეს მოეწონება- შაკო მირიანაშვილის ლურჯწვერას პორტრეტი პირველ მოქმედებაში ასეთია. დედიკოს ბიჭის კლასიკური პორტრეტი. თუმცა სადედამთილო დედიკო (ნანა ბუთხუზი) იმგვარი გააფთრებით იცავს შვილს და ისეთი აგრესიით მოუწოდებს ლეონარდოს მკვლელობისკენ, რომ მის ხელში მომავალი ლურჯწვერას ამოცნობა მართლაც რთულია. თუმცა ეს ლურჯწვერობაც სიმბოლურია: ცხადია წვერები არ ამოსდის და ფემისციდიც უსისხლოდ მიმდინარებს- ქალები და კაცებიც, ვინც შაკო მირიანაშვილის პერსონაჟს უპირისპირდება, ან პირადად აგდებას, ან სცენის სიღრმეში განთავსებული ფანჯრიდან თავად ხტებიან.

ლეონარდოს ცოლის (მარიამ ბალახაძე. სპექტაკლში მის პერსონაჟს სახელი არ აქვს.) მოძრაობები კონვულსიურსაც გავს ხშირად. უაზრო სიცილი და მუდმივი ზრუნვა ქმრის შენარჩუნებისთვის-პირველ მოქმედებაში ცოლი ასეთია და ისედაც გაწეილ პირველ აქტს მისი მუდმივი სირბილი სცენაზე საკმაოდ დამლელს ხდის. მეორე და მესამე მოქმედებაში ცოლი ბევრად დადინჯებული და გაწონასწორებულია. ისტერიული სიცილიც ნაკლებად ისმის მისგან.

ნინო კასრაძე ნამდვილად არის თანამედროვე ქართული თეატრის ვარსკვლავი. მშვენიერი გარეგნობის გარდა მას აქვს ტრანსფორმაციის უნარი და ყველა ახალ როლში სრულიად განსხვავებულია. „ლურჯწვერას“ სამივე მოქმედებაში კი სრულიად განსხვავებულ პერსონაჟებს ქმნის- პატარა, თეთრწინდებიანი გოგონათი დაწყებული შავ სამოსში მოსილი და ივდითად სახელდებული. მრავალფეროვანია ნინო კასრაძის გამომსახველობითი პალიტრა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სპექტაკლის ფინალური ეპიზოდი- როდესაც ერთ დროს მორცხვი და გაუბედავი და ამჯერად სერიულ მკველელად ტრანსფორმირებული ქმარი- (შაკო მირიანაშვილი) სადისტური დაჟინებით იმეორებს „ჩემია“. ნინო კასრაძე კი ერთ ადგილას გაშეშებული უმწეობისგან კანკალებს...

ნანა ბუთხუზის დედამთილი იმთავითვე მკაცრი და ეჭვიანი მზერით აფასებს მოვლენებს. შვილის მიმართ ნაზი და მომფერებელი ერთბაშად გააფთრდება რძლის გაქცევის გამო. „მოკალი, მოკალი“- ისტერიულად გაკვივის გამწარებული.

ლეონარდო-ერთადერთი პერსონაჟი, რომელიც სახელით შემოდის პირველივე ეპიზოდიდან. ზუკა პაპუაშვილის გამორჩეული ჰაბიტუსი პერსონაჟს ზედმიწევნით ესატყვისება გმირის ქმედების დიაგრამას- მას ყველაფრის უფლება აქვს, პირველი სტუმარია ქორწილში, აქედანვე მოიტაცებს პატარძალს. ზუკა პაპუაშვილი ყველა ეპიზოდში თავდაჯერებული და მტკიცეა, განსაკუთრებით ცოლთან ურთიერთობის ეპიზოდებში.

წარმოდგენის ეპიზოდური როლების შემსრულებლებში (მარიამ ბალახაძე, ელენე თავართქილაძე, ანდრო ბარათაშვილი, მიხეილ აბრამიშვილი) განსაკუთრებით მიხეილ აბრამიშვილი გამოირჩევა. მისი საოპერო ხმა, რომელიც სპექტაკლში ჟღერს, ჟოლდაკის ფანტასმაგორიას კიდევ უფრო ეპატაჟურს ხდის.

„ლურჯწვერას“ სცენოგრაფი დანიილ ჟოლდაკია. სტილთა აღრევა, უფრო ზუსტად კი სინთეზი წარმოდგენის ვიზუალიზაციის პრონციპად არის ქცეული. სცენის ნახევარი თანამედროვე სამზარეულო-მისაღების გაერთიანებულ ინტერიერს უჭირავს. მარჯვენა ნახევარი კი ოპერის მასშტაბურ დეკორაციის უფრო გავს: ბაროკოს ტიპის თალიანი ბუხარი, ზოგ ეპიზოდებში მასიური კარადა და ა.შ.

სიმონ მაჩაბელის კოსტიუმები პერსონაჟების ცხოვრების პერიოდების იდენტურია და ზუსტად ასახავს მათ სიტუაციურ ცვლილებებს. კოსტიუმებში მხატვრის გემოვნება და სტილი ჩანს.

ანდრი ჟოლდაკის სპექტაკლი ჰიბრიდული და პოლიმორფული თეატრის მკვეთრი ნიმუშია, სადაც სათეატრო ფორმები და ჟანრები ანაცვლებენ ერთმანეთს ისე, რომ არ ირღვევა წარმოდგენის ერთიანი სტილი, ჰარმონიულობა, თანმიმდევრულობა, აზრობრივი, საშემსრულებლო ხერხის თუ ვიზუალური ლოგიკა. წარმოდგენაში ვხვდებით საოპერო, საბალეტო, დრამატული და ფიზიკური თეატრის ელემენტებსა და კომპონენტებს, რაც ვლინდება მოძრაობაში, ქმედებაში, პერსონაჟთა განწყობების და შექმნილ სიტუაციაზე რეაქციის ფიზიკურ გამოხატვაში. (ლ.ჩხარტიშვილი. 2024)

ანდრი ჟოლდაკის რიგით მეორე დადგმის პრემიერა ქართულ თეატრში დიდი წარმატებით განხორციელდა.

ნათელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კულტურათა დიალოგი ოცდამეერთე საუკუნის სათეატრო ცხოვრებაში. თეატრი საზღვრებს გარეშე- ალბათ ეს ყველაზე სასურველი კონცეფციაა თანამედროვე ხელოვნებაში.

და ისევ და ისევ, უდიდესი პრობლემა, რომელიც ახალი თეატრის წინაშე დგას- თეატრი არ ფუნქციონირებს, სპექტაკლები არ ტარდება, არაჩვეულებრივ წარმოდგენებს მაყურებელი ვეღარ ნახულობს... იმედი ვიქონიოთ, რომ დიმიტრი დიმიტრაძის სათაური ცხოვრებაში არ განხორციელდება...

ლიტერატურა:

ანა ბენიძე. ვკვდები როგორც ქვეყანა . <https://www.theatrelife.ge/vkvdebi>

ზუკა ნემსაძე. ანდრი ჟოლდაკის Gaslighting-ი ანუ ფსიქოლოგიური მანიპულაცია. <https://www.theatrelife.ge/andrijoldakis>

ლაშა ჩხარტიშვილი. ჟოლდაკის მორიგი სიგიჟე. <https://www.theatrelife.ge/joldaki>